

პირველი ქართველი პარაშუბისტი



ღვანელობის მადლობა. ახალგაზრდა სპეციალისტი კარგად გრძნობდა, რომ მართო მიღწეული საქმარისი არ იყო, სამშობლოს უფრო მეტი სჭირდებოდა და ისიც ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა საყვარელი ქვეყნის, თანამემამულეთა საკეთილდღეოდ.

ს. ივარდავა გრძნობდა, რომ ავიაციასთან ერთად აუცილებელი და საჭირო იყო საპარაშუტო სპორტის სწრაფი და დროული განვითარება. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, იგი ხომ თავის გადაჩენის ერთადერთი საშუალებაა თვითმფრინავის კატასტროფის დროს! სწორედ ამიტომ სხვებთან ერთად ამ საკითხს მთელი სერიოზულობით სწავლობდა ს. ივარდავა. როცა 1932 წელს ევპატორიაში მომავალი ინსტრუქტორ-პარაშუტისტების მე-2 საკავშირო შეკრება მოეწყო, მონაწილეთა შორის ჩვენი თანამემამულეც იყო.

ჩვეული ენერგიით დაეწაფა საპარაშუტო საქმის შესწავლას სევერიანე, მოკლე დროში აითვისა საქმოდ რთული ტექნიკა, თავისუფლად, დახვეწილად ასრულებდა ჰაერში ყველა საჭირო მოძრაობას. შეკრების ხელმძღვანელებს მინაევს, ზაბელინსა და მაშკოვსკის ს. ივარდავას უნარი და მონაცემები მხედველობიდან არ გამოჩინებიათ. როცა საუკეთესო პარაშუტისტები შეარჩიეს, პირველ ხუთეულში ქართველი ვაჟკაცი სევერიანე აღექსანდრეს ძე ივარდავაც დასახელებს.

შესაძლებლობათა გამოვლინების დღეც დადგა — 1932 წლის 10 მაისს ევპატორიის ცაში აიჭრა თვითმფრინავი „ანტ-9“, რომელსაც პარაშუტისტთა მე-2 საკავშირო შეკრების პირველი ხუთეული მიჰყავდა. წელთა სვლით მხარდამძიმებულ თადარიგის პოლპოლკოვნიკს დღესაც კარგად ახსოვს ის დღე. მოგონებებისას კვლავ ის სიხალისე და სილაღე ეუფლება, პირველად რომ პარაშუტით ჰაერში გამოკიდებულმა იგრძნო. სიამოვნებით იხსენებს მეგობართა მხურვალე მილოცვებს

ნახტომის საუკეთესოდ შესრულებისათვის. საქართველოს ავიაციის განვითარების ისტორიას კი ახალი ფურცელი შეემატა: 1932 წლის 10 მაისს პირველმა ქართველმა პარაშუტისტმა ს. ა. ივარდავამ ყირიმის ცაში პირველად შესასრულა პარაშუტით 800 მეტრის სიმაღლიდან დაშვება!

შემდეგ საპარაშუტო სპორტის ინსტრუქტორი უმცროს კოლეგებს ხალისით უზიარებდა გამოცდილებას, ასწავლიდა პარაშუტის ფლობას, ოსტატურად დაშვებას. მოწაფეთა შორის ქალებიც იყვნენ.

1935 წელს 12 სექტემბერს სიმფეროპოლის აეროკლუბის აეროდრომზე ს. ივარდავას უშუალო ხელმძღვანელობით 5 პარაშუტისტი ქალი თვითმფრინავ „უ-2“-დან ჩინებულად დაეშვა მიწაზე. მათ შორის იყო ინსტრუქტორის მეუღლეც მარგალიტა დიმიტრის ასული ივარდავა...

ასეთი იყო პირველი ქართველი პარაშუტისტის, მისი კოლეგების მიერ დიდ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები, შემდეგ კი ცხოვრება თავისი გზით წავიდა. წლებმა ახალი საზრუნავი მოიტანეს. მამაცი მებრძოლი მედგრად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ნაწილი, რომლის შტაბის უფროსი ს. ივარდავა იყო, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კარელია-ფინეთის, კურსკის რკალის, აღმოსავლეთ პრუსიის საომარ მოქმედებაში. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა ამგდარი კაცის ღვაწლი — რამდენიმე ორდენითა და მედლით არის დაჯილდოებული.

ამგდარი პოლპოლკოვნიკი ამჟამად პენსიაშია და დღესაც ახალგაზრდული გატაცებით შრომობს სამშობლოს, ხალხის საკეთილდღეოდ, საყვარელ პროფესიას არ ღალატობს, კვლავ მასზე ფიქრობს და ზრუნავს.

ბ. ბაბრიჩიძე,

თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

როდესაც საბჭოთა ავიაციის განვითარებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, შეუძლებელია არ ახსენონ საპარაშუტო სპორტი. ეს ბუნებრივიც არის, ერთმანეთისაგან განუყრელ კავშირში იზარდა, სრულყოფილი სახე მიიღო ამ ორმა დიდმა საქმემ და მათი მესვეურნი დღესაც ერთად, მხარდამხარ იღვწიან — საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ასე მწყობრად, შეთანხმებულად გადაიდგა პირველი ნაბიჯები დიდი გზის დასაწყისში.

ეს იყო პირველ ხუთეულში, როდესაც წარმატებით დავიწყეთ სამამულო თვითმფრინავების, ძრავების, პარაშუტების დამზადება. ცხადია, იმ დროს ავიაცია მდიდარი არ იყო სპეციალური კადრებით, საჭირო იყო მათი აღზრდა, სათანადო მომზადება. მივცეთ

პარტიის ეს მოწოდება სწრაფად აიტაცა ხალხმა და სულ მალე მრავალი ახალგაზრდა გამოცხადდა კომკავშირული საგზურიით სამხედრო-საჰაერო სკოლებში, აეროკლუბებში, გულმოდგინედ დაიწყეს საავიაციო ტექნიკის ათვისება.

პირველ რიგში სასწრაფო წესით გადაამზადეს წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობა მფრინავებად, მფრინავ-მეთვალყურეებად და ინსტრუქტორ-პარაშუტისტებად. მათ შორის იყო ჩვენი თანამემამულე, ასეულის მეთაური სევერიანე აღექსანდრეს ძე ივარდავა. 1930 წლის აპრილში ახალგაზრდა ივარდავამ მიაღწია მფრინავალყურის სპეციალობის სეხლად. სევერიანმა საქმეს ვად აუღო ალღო. და იმავე

აი აგვისტოში ორენბურგის აერო სკოლაში ჩარიცხეს მსმეობად. საქმის ერთგულ კაცს არც უნდა უღალატია ჩვეულებისაგან — გულდასმით, ინტერესით კიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. სწორედ ამიტომ 1931 სექტემბერში იგი, როგორც უმაღლესი მფრინავი მეთვალყურე დაინიშნა მიასნიკოვის საპარაშუტო სკოლაში. იმ პირველ სამხედრო-საჰაერო სკოლაში ინსტრუქტორად მოავლინა კარგი მეთოდურადმზრდელი თვისებები და რამდენჯერმე დაიმსახურა ხელმძღვანელობის მადლობა.

მოხდენიდი, ღამაზი...

ამ ბოლო დროს მალაზიის თაროებზე გაჩნდა მოხდენილად შეკერილი ბავშვის კოსტიუმები, ტრიკოტაჟის ნაწარმი, ლამაზი კომპლექტები, მას ფაბრიკა საქტრიკოტაჟის მარკა აქვს და მომხმარებელი სიამოვნებით ყიდულობს. საწარმოს სამოდლო ლაბორატორიაში (ლორესი თ. ბეჟულოძე-

დის ქალის, მამაკაცისა და ბავშვის თეთრკაფულისა. „საქტრიკოტაჟის“ სამოდლო ლაბორატორიის მუშაკებს საზრუნავი და საფიქრელი კვლავ ბევრი აქვთ: მომხმარებლები მათგან მოელიან დროის შესაფერ, ორიგინალურ და ლამაზ ტანსაცმელს. თბილისელი მეტრიკოტაჟეები, რომლებიც ენერგიულად შრომობენ

როდესაც საბჭოთა ავიაციის განვითარებაზე ჩამოვარდება საუბარი, შეუძლებელია იქვე არ გაიხსენონ საპარაშუტო სპორტი. ეს ბუნებრივიცაა, საფრენოსნო და საპარაშუტო სპორტი ხომ განუყრელ კავშირშია.

ისინი ერთად იზრდებოდნენ, ვითარდებოდნენ და სრულყოფილ სახესღებულობდნენ. დღესაც მხარდამხარ მიაზიჯებენ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს აეროკლუბი დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე სსრ კავშირში ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა. ცხადია, აეროკლუბს უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ავიაციის განვითარებისთვის, ისე ფიზიკურად სრულყოფილი ახალგაზრდობის აღზრდისთვის.

30-იან წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა საპარაშუტო, საფრენოსნო, საპლანერო და ძრავის სპეციალისტთა სექციების მუშაობა.

1935 წელს საქართველოში პირველად გაიმართა პარაშუტისტთა ხტომები, რომლებიც 24 ჰაბუკმა და გოგონამ შეასრულა. მათ შორის იყვნენ ნინო პუშჩინა, ანა წიკლაური, მარინა ხარიტონოვა და სხვები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ერთი წლით ადრე შეასრულეს საპარაშუტო ხტომები.

1934 წლის 12 სექტემბერს კაჩის აეროდრომზე, ქართველ ქალთა შორის პირველმა შეასრულა ხტომა ცნობილი მფრინავი-პარაშუტისტის, სპორტის ოსტატის სევერიან ივარდავას მეუღლემ, მარგალიტა ივარდავამ.

აი, რას წერდა ამ ამბის შესახებ სევესტოპოლის გაზეთი „სტალინსკი სოკოლი“:

„12 სექტემბრის დილა კარგი საფრენოსნო ამინდის პირობას არ იძლეოდა. შემოდგომის წვიმიანმა დღემ ახალი განცდები მოიტანა. ყველას ძალიან უნდოდა გადმოსტომა ეს ამიტომ არაერთგზის გაიხმოდა ბუსტუნის პირველი ამინდის მისამართით.

— ბედნიერი ვიქნებოდი დღეს რომ გადმოსტარიყავი, — ამბობს ტარასენკო.

— ჩვენ მზად ვართ რამდენიმე დღე დავიცადოთ, ოღონდ თვითმფრინავიდან გადმოვხტეთ, — ამბობდნენ სხვები.

სალამოუამს ქარი თანდათან დაცხრა, ცა ც გაიხსნა. ყველაფერი მზად იყო. მესტარტის ალმის დაქნევისას „უ-2“ ტიპის თვითმფრინავები ერთი მეორის მიყოლებით აიჭრნენ ცაში. თან პარაშუტისტები მიჰყავდათ პირველი ნახტომების შესასრულებლად.

პირველად ტარასენკო გადმოსტა. შემდეგ პანოვა.

პირველი ქართველი პარაშუ- ტისტი ქალი

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მარგალიტა დიმიტრის ასული — ინსტრუქტორ ივარდავას მეუღლე, თვითმფრინავში ჩასაჯდომად ემზადებოდა, იქვე ფუსფუსებდნენ მისი შვილები.

— დედიკო, დედიკო, კარგად გადმოსტი. აი, აქ ჩამოსტი. ჩვენც აქ დაგელოდებით, — ასე ეუბნებოდნენ და თან პატარა ხელების ქნევით ცაში აცილებდნენ შვილები დედას...

სულ ბოლოს ნინა ივანოვნა ჩუკასინა გადმოსტა.

800 მეტრის სიმაღლიდან ყველანი ფრიადზე გადმოსტნენ“.

საქართველოში პოპულარული გახდა საპარაშუტო სპორტი. ამიტომ იყო, რომ თბილისელმა მხატვარმა ქალმა ირინა შტენბერგმა ორი მხატვრული გეგმა მიუძღვნა საქართველოს პარაშუტისტებს.

მერი როდე-ჩიჯავაძე.